



Foreign &  
Commonwealth  
Office

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN  
HOUSE

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში  
არსებული პრობლემები და ადგილობრივი  
მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები

კვლევის ანგარიში

**PROBLEMS OF KVEMO KARTLI AND  
SAMTSKHE-JAVAKHETI AND FOREIGN POLICY  
PREFERENCES OF THE LOCAL POPULATIONS**

Research Report

ანა დვალი, ედიტა ბადასიანი

ANA DVALI, EDITA BADASYAN

2014

ანა დვალნი  
ედითა ბადასნიანი

**ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებული  
პრობლემები და ადგილობრივი მოსახლეობის  
საგარეო პოლიტიკური პრაქტიკის განხილვა**

კვლევის ანგარიში

UDC (უკაკ) 323.1(479.222+5+479.221.15)+327(479.222+5+479.221.15)  
დ-402

რედაქტორები: ლევან კახიშვილი  
ტატო ხუნდაძე

**პუბლიკაციის შინაარსი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრს.  
პუბლიკაციის შინაარსი გამოხატავს ავტორთა პირად მოსაზრებებს.**

ISBN 978-9941-400-75-9

## ანოტაცია

საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტური ვითარების გათვალისწინებით 2011 წლიდან „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრმა – კავკასიურმა სახლმა“ დაიწყო აქტიური მუშაობა ქართულ და რუსულ საზოგადოებებს შორის მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით. ეს პროცესი რამდენიმე კომპონენტს აერთიანებს, მათ შორისაა ახალგაზრდა ქართველი და რუსი ანალიტიკოსების კვლევები, სამუშაო ვიზიტები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში, შეხვედრები ორივე ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურებისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან, საერთო ვებ-გვერდი და სხვა.

2013 წელს, კვლევითი მიმართულების ფარგლებში მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტები, დაინერგა სტატიები, შეიქმნა ერთობლივი ანალიტიკური ბიულეტენი (მასალების ნახვა შესაძლებელია აქ: [www.regional-dialogue.com](http://www.regional-dialogue.com)).

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ძირითადი პრობლემები და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებები საქართველოს საგარეო პოლიტიკისადმი. კვლევა განხორციელდა ორ ქალაქში – მარნეულსა და ახალქალაქში. გამოკითხული რესპონდენტები არიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის, მედიის, რელიგიური ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს გამოკითხული რესპონდენტების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე.

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

## შინაარსი

შესავალი.....	5
ნაწილი I: ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებული ძირითადი პრობლემები. დამოკიდებულება ენის, კულტურისა და რელიგიის მიმართ .....	6
ინფორმირებულობისა და სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა .....	6
კულტურა .....	8
აზერბაიჯანული კულტურა .....	8
სომხური კულტურა .....	8
რელიგია.....	9
ქვემო ქართლი .....	9
სამცხე-ჯავახეთი .....	9
ნაწილი II: საქართველოს საგარეო პოლიტიკა: დამოკიდებულება ევროკავშირის, ნატოსა და რუსეთის მიმართ .....	10
ქვემო ქართლი .....	10
რუსეთი .....	10
ევროკავშირი და ნატო .....	11
სამცხე-ჯავახეთი .....	13
რუსეთი .....	13
ევროკავშირი .....	14
ნატო / თურქეთი.....	15
დასკვნა .....	17
დანართი: გამოკითხული რესპონდენტები .....	19
ქვემო ქართლი .....	19
სამცხე-ჯავახეთი .....	19

## შესავალი

ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონია. ქვემო ქართლში მოსახლეობის 45,14%-ს ეთნიკურად აზერბაიჯანელები შეადგენენ, ხოლო სამცხე-ჯავახეთში 54,60 %-ს – ეთნიკურად სომხები.<sup>1</sup> აღნიშნული რეგიონები არ არიან სრულად ინტეგრირებული საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში. საზოგადოების გაუცხოება და ინფორმაციის ნაკლებობა (როგორც რეგიონებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ისე ცენტრში რეგიონების შესახებ), წარმოქმნის კითხვებს, თუ რა დამოკიდებულებები აქვს ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციო-კულტურული საკითხების მიმართ. საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ინტენსიფიკაციის პარალელურად ქართულ და არა მარტო ქართულ საექსპერტო წრეებში გაჩნდა მოლოდინი, რომ რუსეთი შეეცდება ხელი შეუშალოს აღნიშნულ პროცესს. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ერთ-ერთი ბერკეტი, რაც რუსეთმა შეიძლება ევროინტეგრაციის პროცესის შესაფერხებლად აამოქმედოს, არის საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების გამოვლენა; განსაზღვრა, თუ როგორ აღიქვამს ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკას და რა ახდენს გავლენას რეგიონების მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ფორმირებაზე.

კვლევა განხორციელდა ორ ქალაქში: მარნეულსა (ქვემო ქართლი), სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა შეადგენს ადგილობრივი მოსახლეობის 83,1%-ს, და ახალქალაქში (სამცხე-ჯავახეთი), სადაც ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ადგილობრივი მოსახლეობის 93,33%-ია.<sup>2</sup> კვლევა თვისობრივი ხასიათისაა. კვლევის პროცესში ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან, სიღრმისეული ინტერვიუები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რელიგიურ ლიდერებთან, მედიის, პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ოფისებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. სულ 30 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა. შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, კვლევა არ განხორციელებულა რეგიონების სოფლებში. კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ სრული სურათის მისაღებად საჭიროა კვლევის გაგრძელება და აღნიშნული რეგიონების სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია რეგიონებში არსებული პრობლემები და დამოკიდებულება კულტურისა და რელიგიის მიმართ, რაც, ვფიქრობთ, გავლენას ახდენს მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე. მეორე ნაწილში კი – ქვეყნის საგარეო პოლიტიკისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება, კერძოდ, რუსეთის, ევროკავშირისა და ნატოს მიმართ.

<sup>1</sup> Ethnic groups of Georgia: Census, ECMI Caucasus, 2002, <http://www.ecmicaucasus.org/upload/stats/Census%202002.pdf>.

<sup>2</sup> Ethnic groups of Georgia: Census, ECMI Caucasus, 2002, <http://www.ecmicaucasus.org/upload/stats/Census%202002.pdf>.

# ნანილი I: ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებული ძირითადი პრობლემები. დამოკიდებულება ენის, კულტურისა და რელიგიის მიმართ

## ინფორმირებულობისა და სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, მრავალი პრობლემა არსებობს. აღნიშნულ რეგიონებში არსებული ძირითადი პრობლემები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა და დიდწილად მსგავსია იმ პრობლემებისა, რაც ზოგადად დამახასიათებელია საქართველოსთვის. ეს პრობლემებია: უმუშევრობა, განათლების დაბალი დონე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, საბავშვო ბაღების, მინის განაწილების, სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემები და სხვა. აღნიშნულ ჩამონათვალს, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კიდევ ორი პრობლემა ემატება, რასაც რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოყოფდა. ესენია: ინფორმაციის ნაკლებობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და სახელმწიფო ენის არცოდნა ან არასაკმარისად ცოდნა. ეს ორი პრობლემა ურთიერთდაკავშირებულია და თავის მხრივ, საზოგადოებაში ინტეგრაციის დაბალი დონისა და სამოქალაქო პასიურობის მიზეზია. ქართული ენის პრობლემის გამო, მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციას ქვემო ქართლში აზერბაიჯანული და თურქული არხებიდან, ხოლო სამცხე-ჯავახეთში რუსული და სომხური არხებიდან იღებს. მარნეულში არის ადგილობრივი ტელევიზია, „მარნეული TV“, ორ ენაზე – აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე, თუმცა ტელევიზიას აქვს სიხშირის პრობლემა და რეგიონის სოფლებში არ არის ხელმისაწვდომი. სამცხე-ჯავახეთშიც მაუწყებლობს ორი ადგილობრივი ტელევიზია – „ფარვანა“ ნინოწმინდაში და „ATB12“ ახალქალაქში. მწირი რესურსებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ტელევიზიები ძირითადად, რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს ფარავენ და ნაკლებად აშუქებენ მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

„უკვე ერთი თვეა დავიწყეთ 10-წუთიანი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ სომხურ ენაზე, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ ყველაფრის კურსში იყო. არსებობს ინფორმაციული ვაკუუმი. რამდენიმე წლის წინ, მთელ მოამბეს გადმოვცემდით სომხურად. ეს პროექტი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი იმედი არ არის. არ არის დაფინანსება,“ – ამბობს ტელეკომპანია „ATB12“-ის წარმომადგენელი.

სახელმწიფოს დაფინანსებით გამოდის აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი გაზეთები – „გურჯისტან“ და „ვრასტან“. თუმცა გაზეთები იბეჭდება დედაქალაქში, მაგრამ რეგიონებამდე გვიან აღწევს. ერთადერთი ადგილობრივი სომხურენოვანი გაზეთი სამცხე-ჯავახეთში – „სამხრეთის კარიბჭე“, მიმდინარე წლის 1 თებერვალს, ფინანსური რესურსების არქონის გამო, დაიხურა. გაზეთს ასევე ჰქონდა სამენოვანი (ქართულ-რუსულ-სომხური) ონლაინ ვერსია. შესაბამისად, საქართველოს მთელ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა რეგიონის შესახებ ამ წყაროდან მიეღო ინფორმაცია.

რეგიონებში ინფორმაციის გავრცელებაზე ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ და როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების როლი საკმაოდ მცირეა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა დაინტერესებულია ინფორმაცია მიიღოს ცენტრალური ხელისუფლების ან თბილისში არსებული ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ხშირად იმართება დისკუსიები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე. როგორც ადგილობრივი თანამშრომელი აღნიშნავს, განსაკუთრებულ ინტერესს ის ღონისძიებები იწვევს, როცა მომხსენებელი თბილისიდანაა მოწვეული.

„თუ თბილისიდან არის მომხსენებელი, მაშინ ხალხი მოდის. რა თემაც არ უნდა იყოს... შეხვედრას ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრება, როცა თბილისიდან ვინმე ჩამოდის. სხვა შემთხვევაში გვიჭირს ხალხის მოყვანა,“ – ამბობს მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის თანამშრომელი.

შექმნილი სიტუაცია იწვევს ორმხრივ ინფორმაციულ ვაკუუმს. არც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობას აქვს სათანადო ინფორმაცია საქართველოს დანარჩენ ნაწილში მიმდინარე პროცესების შესახებ და არც საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცის რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. ინფორმირებულობის პრობლემას უკავშირებენ სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული რესპონდენტები თბილისში გავრცელებულ ხმებს რეგიონის მოსახლეობის-

ვის რუსული პასპორტების დარიგების შესახებ. „ჩვენ ჯავახეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ თბილისიდან ვგებულობთ, იმიტომ რომ იქ ვილაც ზის და რალაც ჭორებს იგონებს“; „სხედან თბილისში და ჩვენზე საუბრობენ ისე, რომ ერთხელაც არ ყოფილან აქ,“ – აცხადებენ რესპონდენტები.

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებულობის პრობლემის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო ენის არცოდნა ან არასაკმარისად ცოდნაა. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ინიცირებული არაერთი პროგრამისა, ქართული ენის ცოდნის დონე, განსაკუთრებით სოფლებში, კვლავ დაბალია. რესპონდენტები აცნობიერებენ სახელმწიფო ენის შესწავლის მნიშვნელობას, თუმცა აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ქართული ენის შესწავლას ისახავს მიზნად, არაეფექტურია. იკვეთება რამდენიმე ფაქტორი, რაც რესპონდენტთა აზრით, ხელს უშლის სახელმწიფო ენის შესწავლის ეფექტურობას:

1. საკომუნიკაციო სივრცე. ორივე რეგიონი კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით. რესპონდენტები ახალქალაქიდან აღნიშნავენ, რომ ეთნიკურად ქართველებმა და ბერძნებმაც, რომლებიც რეგიონში ცხოვრობენ, კარგად იციან სომხური ენა;

2. სახელმწიფო პროგრამების არაეფექტურობა და პროფესიული კადრების ნაკლებობა. ახალქალაქსა და მარნეულში არის როგორც სომხური/აზერბაიჯანული, ისე რუსული და ქართული სკოლები. ქართული ენა ყველა სკოლაში ისწავლება, თუმცა როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ამ პროგრამებს მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია. სახელმწიფო პროგრამები – ბილინგვური სწავლება<sup>1</sup> და მოხალისე მასწავლებლების პროგრამა<sup>2</sup> არაეფექტურია, ვინაიდან ქართულენოვანმა მასწავლებელმა არ იცის აზერბაიჯანული/სომხური ენა და რთულად ხდება კომუნიკაცია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის;

3. პროგრამების მონიტორინგი. არ ხდება იმ პროგრამების მონიტორინგი, რასაც სახელმწიფო ახორციელებს. შედეგად, სხვადასხვა სკოლებში პროგრამების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განსხვავდება.

რესპონდენტთა შეფასებით, ყველაზე ეფექტურია სახელმწიფო პროგრამა „1+4“.<sup>3</sup> მისი ინიცირების შემდეგ, ახალგაზრდები სასწავლებლად ძირითადად თბილისში მიდიან და შემცირდა ტენდენცია, როცა თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მიდიოდნენ.

„ადრე ვეხმარებოდით სტუდენტებს სომხეთში სასწავლებლად წასვლაში. მათგან 99% უკან არ ბრუნდებოდა. ის, ვინც ბრუნდებოდა, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, სამსახურს მაინც აქ ვერ ნახულობდა. ისეთი განწყობა აქვთ, რომ უცხოები არიან საქართველოში. რაც „1+4“ პროგრამა დაიწყო, თბილისში ვუშვებთ სტუდენტებს. ეს უკვე შანსია,“ – ამბობს სასულიერო პირი ახალქალაქიდან.

რესპონდენტები სახელმწიფო ენის არცოდნას ინტეგრაციის ერთ-ერთ, თუმცა არა უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად ასახელებენ. ყველაზე მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად არაინფორმირებულობა, მათ შორის საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების არცოდნა სახელდება.

„საჭიროა კონსტიტუცია, კოდექსები, კანონები გადაითარგმნოს ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე. კონსტიტუციის მიხედვით, გვაქვს უფლება მივიღოთ ინფორმაცია ჩვენთვის გასაგებ ენაზე. ჩვენ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებები და მოვალეობები. როცა ენა არ ვიცით და ვერ ვიღებთ ინფორმაციას, იქმნება პრობლემები. არ ვიცით უფლება-მოვალეობები, ვის რა მოვთხოვოთ და სად მივმართოთ,“ – აცხადებს მარნეულში არსებული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

<sup>1</sup> პროექტი გულისხმობს სკოლებში გარკვეული საგნების გაკვეთილების ორ (აზერბაიჯანულ-სომხურ და ქართულ) ენაზე ჩატარებას.

<sup>2</sup> „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ 2011 წლიდან ხორციელდება. პროექტი გულისხმობს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ქართულენოვანი პედაგოგების წარგზავნას.

<sup>3</sup> პროგრამა „1+4“ საქართველოში 2010 წლიდან ხორციელდება. აბიტურიენტები, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, მშობლიურ ენაზე უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ, 1 წლის განმავლობაში ქართული ენის მოსამზადებელ კურსს გადიან. აღნიშნული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ, აგრძელებენ სწავლას ქართულ ენაზე.



## კულტურა

### აზერბაიჯანული კულტურა

აზერბაიჯანული კულტურა და ტრადიციები ოჯახებში შენარჩუნებულია. თუმცა რთულია იმის თქმა, რომ რეგიონის საჯარო სივრცეში აქტიურად მიმდინარეობს ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის. რეგიონში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ამ მიმართულებით. აქტივობები, რაც კულტურის შენარჩუნების მიზნით ხორციელდება, მოიცავს შემდეგს: ტრადიციული ცეკვების შესწავლა, გაზეთების გამოშვება აზერბაიჯანულ ენაზე, ხალიჩის ქსოვის შემსწავლელი კურსები, ფოლკლორული ჯგუფები და სხვა. ძირითადი კულტურული პროექტები ხორციელდება აზერბაიჯანისა და აზერბაიჯანული კომპანია „სოკარის“ და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კულტურის სფეროში არის პრობლემები. მაგალითად, არ არის ბიბლიოთეკები.<sup>1</sup> შესაბამისად, ახალგაზრდებს არ აქვთ საშუალება წერილობითი წყაროებიდან გაიგონ და შეისწავლონ აზერბაიჯანული კულტურა, ლიტერატურა და ისტორია. კულტურის შენარჩუნება ზეპირ გადმოცემებს ეფუძნება.

„კულტურა, როგორც წესი, ნიგნებით გადაიცემა. ჩვენ არ გვაქვს ბიბლიოთეკა. ეს პრობლემაა და კულტურასაც ურტყამს. შეიძლება ითქვას, კულტურა ხალხში გადაიცემა ზეპირი სახით, დანერგილი სახით არ გადაეცემა,“ – აცხადებს მარნეულში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ნაციონალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას რესპონდენტები ენის შენარჩუნებასა და განათლებას უკავშირებენ. „კულტურის შენარჩუნება დამოკიდებულია ენის ცოდნაზე. თუ ენა შეინარჩუნე, უფრო მეტად ნარჩუნდება კულტურა, ტრადიციები. ვფიქრობ, შემდეგაც ასე ვიცხოვრებთ, შევინარჩუნებთ ჩვენს კულტურას. და კიდევ ერთხელ... თუ განათლების პრობლემა გადაიჭრება, ეს პრობლემა არ იქნება,“ – აცხადებს „აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრის“ თანამშრომელი.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმართველობის როლი აზერბაიჯანული კულტურის შენარჩუნებაში მინიმალურია. სახელმწიფოს ჩართულობა მხოლოდ სხვადასხვა დღესასწაულზე, მაგალითად, ნოვრუზ ბაირამზე ხელისუფლების წარმომადგენლების დასწრებით შემოიფარგლება. ხელისუფლების მხრიდან ინიციატივისა და კულტურული აქტივობების ნაკლებობას რესპონდენტები ქვეყნის ფინანსური პრობლემებით ხსნიან. ასევე აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მხრიდან არავითარი შეფერხება ან ზეწოლა არ არის.

„ხელისუფლება ხელს არ გვიშლის. განავითარე შენი კულტურა, არავინ გიშლის ხელს. არ არის რაიმე ზეწოლა. ახალგაზრდები ინარჩუნებენ კულტურას და მიდის წინ. ასევე, ხდება ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებასთან, მაგრამ ნელა, წყნარად. არ არის საჭირო აჩქარება, ზეწოლა. ნელა უნდა ხდებოდეს ეს პროცესი,“ – ამბობს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი შტაბის წევრი.

### სომხური კულტურა

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდები დაინტერესებული არიან სომხური კულტურის შენარჩუნებით; ბავშვები დადიან სხვადასხვა წრეებზე ცეკვისა და ლიტერატურის შესასწავლად, მონაწილეობას იღებენ სომეხთა გენოციდის<sup>2</sup> ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ მსვლელობებში და სხვა. იკვთება ორი ასპექტი, რასაც რესპონდენტები ხაზს უსვამენ და ინვესტ მათ უკმაყოფილებას:

<sup>1</sup> მარნეულში არსებული ბიბლიოთეკა, რესპონდენტთა თქმით, არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიხურა და ახალი ბიბლიოთეკა, მიუხედავად დაპირებისა, არ აშენებულა.

<sup>2</sup> იგულისხმება 1915-1918 წლებში ოსმალეთის იმპერიის მიერ განხორციელებული დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი მოსახლეობის დევნა და დახოცვა. საქართველოს ხელისუფლება ამ მოვლენებს არ აღიარებს გენოციდად. კვლევაში გამოყენებულია ის ტერმინოლოგია, რომელსაც იყენებენ რესპონდენტები.

1. სკოლებში შეამცირეს სომხური ენის სწავლების საათები და ჩაანაცვლეს ქართული ენის გაკვეთილებით. ქართულის შესწავლის სანინაალმდეგო რესპონდენტებს არაფერი აქვთ, თუმცა უარყოფითად აღიქმება, რომ ეს სომხური ენისთვის განკუთვნილი საათების ხარჯზე ხდება. აღნიშნავენ, რომ შედეგად ბავშვებმა არც ქართული ენა იციან კარგად და არც – სომხური;

2. სომხურ სკოლებში არ ისწავლება სომხეთის ისტორია. საქართველოს განათლების სამინისტრო ამ საგნის სწავლების ნებას არ აძლევს სომხურ სკოლებს.

„სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ჩვენი სურვილი. ყველა სომეხმა უნდა იცოდეს მისი ხალხის ისტორია. მით უმეტეს, ჩვენ ვსწავლობთ საქართველოს ისტორიას. ერთი მეორეს ხელს არ უშლის,“ – ამბობს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ოფისის წარმომადგენელი. სომხეთის ისტორიის სწავლების საჭიროებას რესპონდენტები ხსნიან იმ ფაქტითაც, რომ სომხეთში უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე სომხეთის ისტორია სავალდებულო საგანია. ამიტომ როდესაც აბიტურიენტები სომხეთში მიდიან სასწავლებლად, ისინი მოუმზადებლები არიან აღნიშნულ საგანში.

## რელიგია

### ქვემო ქართლი

რელიგია საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს რეგიონის ახალგაზრდების ცხოვრებაში და დაინტერესება რელიგიის მიმართ ადგილობრივ ახალგაზრდებში იზრდება. მარნეულში არის ისლამური, შიიტური რელიგიური სკოლები, სადაც ისწავლება ყურანი, შარიათი, რელიგიის ისტორია და სხვა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი რელიგიური სკოლები საკმაოდ პოპულარულია. მაგალითად, ერთ-ერთ რელიგიურ სკოლაში „აჰლი ბეით“, სკოლის ხელმძღვანელის თქმით, დღეისათვის სწავლობს და კურსებს ესწრება 200 მოსწავლე მარნეულიდან, ხოლო მთლიანად ქვემო ქართლის რეგიონიდან – 600 მოსწავლე. როგორც სკოლის ხელმძღვანელი აცხადებს, რელიგიით განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ახალგაზრდები, მეჩეთში ძირითადად ახალგაზრდები დადიან და სკოლის კურსების მსმენელების დიდი ნაწილი ახალგაზრდებია. გარდა ამისა, ახალგაზრდები მიდიან ირანში სასწავლებლად და ესწრებიან სხვადასხვა რელიგიურ კურსებს. აღნიშნული პროგრამები ფინანსდება ირანის მიერ; „როგორც წესი, ამ კურსების დასრულების შემდეგ ახალგაზრდები ქვეყანაში ბრუნდებიან,“ – აღნიშნავს რელიგიური სკოლის ხელმძღვანელი.

რესპონდენტები პოზიტიურად აფასებენ ახალგაზრდების რელიგიით დაინტერესებას. აღნიშნავენ, რომ მას პოზიტიური გავლენა აქვს ახალგაზრდებზე.

„როცა რელიგია არ იყო, უფრო ცუდი სიტუაცია იყო. ახალგაზრდები სვამდნენ, იყო ბანდიტიზმი, ნარკომანია. როცა რელიგია დაბრუნდა, ეს ყველაფერი წავიდა. ისლამი კრძალავს საკუთარ ჯანმრთელობას მიაყენო ზიანი. ამიტომ რელიგიას დადებითი გავლენა აქვს,“ – აცხადებს ერთი-ერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი ამბობს, ბავშვების ნაწილი „ზედმეტად რელიგიურებიც“ კი არიან და ამ ასაკში არ არის საჭირო რელიგიით ამ დოზით დაინტერესება.

### სამცხე-ჯავახეთი

ახალქალაქსა და ნინოწმინდაში არის სომხური სამოციქულო ეკლესიები, სადაც რელიგიურ დღესასწაულებსა და გენოციდის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისთვის მიძღვნილ ცერემონიებს, როგორც წესი, ბევრი ხალხი ესწრება. სხვაგვარი სიტუაციაა სოფლებში. ზამთარში მღვდლებს უჭირთ სოფლებში მისვლა ცუდი გზების გამო. ზაფხულში კი მოსახლეობის უმეტესობა ან საზღვარგარეთ არის სამუშაოდ გასული ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში არის ჩართული და, რესპონდენტების თქმით, უჭირთ დროის გამონახვა ეკლესიაში მისასვლელად.

ადგილობრივი ეკლესია სოციალურ საქმიანობაშიც არის ჩართული.

„ჩვენ ზაფხულში ვანყობთ საზაფხულო ბანაკს, სადაც მონაწილეობს 200-250 ბავშვი. მათი მშობლები ამ დროს მუშაობენ. ესენი არიან ძირითადად გაჭირვებული ოჯახების ბავშვები. და რა უნდა აკეთონ მთელი დღე ქუჩაში, როცა საქმე არ აქვთ? ამიტომ ეს ბავშვები მთელი დღე ჩვენთან არიან და სალამოს მიდიან სახლში. 40 დღე გრძელდება ეს ბანაკი. ასე ვენმარებით სახელმწიფოს. გარდა ამისა, გავხსენით ჯგუფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის – რეაბილიტაციის ცენტრი. ბევრი მალავს ამ ბავშვებს. ჩვენ ტაქსებით მოგვყავს ისინი აქ. მშობლებს რცხვენიან მათთან ერთად გარეთ გასვლა. უკვე მესამე წელია მათთან ვმუშაობთ“, – აღნიშნავს ადგილობრივი რელიგიური მოღვაწე.

## **ნაწილი II: საქართველოს საგარეო პოლიტიკა: დამოკიდებულება ევროკავშირის, ნატოსა და რუსეთის მიმართ**

### **ქვემო ქართლი**

#### **რუსეთი**

რეგიონში რუსეთის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, რუსეთი განიხილება ოკუპანტ ქვეყნად და საფრთხედ ქვეყნის სუვერენიტეტისთვის. მეორე მხრივ, რესპონდენტები ხაზს უსვამენ რუსეთის ბაზრის მნიშვნელობას რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის. რუსეთთან დიალოგის აუცილებლობა, პირველ რიგში, სწორედ ეკონომიკური ფაქტორით არის გამოწვეული და, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ძირითადად, სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობა არის დაინტერესებული.

„მეზობელთან მტრობა არც ერთ სახელმწიფოს არ აწყობს. იზოლირებას იწვევს და, პირველ რიგში კი, ეკონომიკას ავნებს. უნდა გქონდეს ურთიერთობა, მაგრამ არა სახელმწიფოებრიობის ხარჯზე. თანასწორი ურთიერთობა უნდა გქონდეს,“ – აცხადებს ადგილობრივი ბიზნესმენთა კავშირის წევრი.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ რუსეთის ბაზრის მნიშვნელობის გარდა, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. შესაბამისად, კონფლიქტისა და ომის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლება უნდა ეცადოს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას.

„რუსეთი არ უნდა გავალიზიანოთ – ყველაფერი შეიძლება მოხდეს, საიდან ვიცით რა მოხდება. 2008 წელს ომი იყო. რუსეთი შემოვიდა, ვერავინ ვერ გააჩერა იგი. საიდან ვიცით, რომ ახლა არ შემოვა?“ – აცხადებს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ოფისის წარმომადგენელი.

გამოკითხული რესპონდენტები ხელისუფლების მიერ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის მცდელობას დადებითად აფასებენ. თუმცა, ეს პროცესი არ არის შეფასებული როგორც წარმატებული. წარმატების მაჩვენებლები, რესპონდენტების თქმით, იქნებოდა: 1. რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის გაუქმება, რაც თავისთავად რუსულ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას უკავშირდება და 2. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვითარების გაუმჯობესება. რესპონდენტების თქმით, მოსახლეობას ჰქონდა მოლოდინი, რომ ნორმალიზაციის პროცესის შედეგად რუსეთი გააუქმებდა სავიზო რეჟიმს. გარდა ამისა, პროცესის წარმატების შემთხვევაში, უნდა შეწყვეტილიყო ე.წ. საზღვრის გადმონევა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და ადამიანების გატაცება, – ამბობენ რესპონდენტები.

რესპონდენტების ნაწილი თვლის, რომ შესაძლოა ევროპასთან ინტეგრაცია გარკვეული რისკების მატარებელი იყოს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ეს განწყობა აიხსნება 2008 წლის აგვისტოს ომითა და უკრაინაში განვითარებული მოვლენებით. რესპონდენტები არ გამორიცხავენ საქართველოში „უკრაინის სცენარის“ განვითარების ალბათობას და ძირითად აქცენტს სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე აკეთებენ, როგორც პოტენციურ საფრთხეზე. ამას შემდეგი ფაქტორებით ხსნიან:

1. ისტორიული გამოცდილება – 1918-21 წლებში საქართველოსა და სომხეთს შორის იყო ომი, მაშინ როცა საქართველოსა და აზერბაიჯანს ერთმანეთში არასდროს უომიათ;

2. დღეს სომხეთი არის პრორუსული სახელმწიფო, განსხვავებით აზერბაიჯანისგან, რომელიც ახერხებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას;

3. საქართველოსა და აზერბაიჯანს საერთო პრობლემა აქვთ. ეს არის ტერიტორიული კონფლიქტები. ისევე როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, ყარაბაღის კონფლიქტში სომხების ძირითად დასაყრდენს და მხარდამჭერს რუსები წარმოადგენენ.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესს, რესპონდენტების შეფასებით, რეგიონზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. მოსახლეობის მოლოდინები აღნიშნული პროცესის მიმართ შემცირდა, ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესს მყისიერი შედეგი, მაგალითად ვიზების გაუქმება, არ მოყოლია. მიუხედავად ამისა, რესპონდენტები თანხმდებიან, რომ აუცილებელია დიალოგის პროცესის გაგრძელება, ვინაიდან ქვეყნის უსაფრთხოება და რეგიონის ეკონომიკური განვითარება დიდწილად ამ პროცესის წარმატებაზეა დამოკიდებული.

## ევროკავშირი და ნატო

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ქვემო ქართლში დისკუსიისა და აქტიური მსჯელობის საგანი არ არის. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ რეგიონში ევროკავშირისა და ნატოს შესახებ ინფორმაცია მწირია და მოსახლეობამ ძალიან ცოტა იცის ამ ორგანიზაციების კონკრეტული პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ. საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი რესპონდენტების მიერ ერთმნიშვნელოვნად სწორ გადაწყვეტილებად ფასდება. თუმცა, ამავე დროს, გამოკითხულთა უმრავლესობაში შეინიშნება სკეპტიკური განწყობა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განევრიანების პერსპექტივისადმი. სკეპტიკურად განწყობილი რესპონდენტები საკუთარი პოზიციის ასახსნელად ორ მიზეზს ასახელებენ:

1. რუსეთის ფაქტორი და საქართველოში არსებული ტერიტორიული პრობლემები. საქართველო არ გახდება დასავლეთის რუსეთთან დაპირისპირების საგანი;

2. მოსახლეობის მზადყოფნა ევროპაში ინტეგრაციისთვის, როგორც მენტალურად, ისე ცხოვრების დონით. ევროპა ასოცირდება სტანდარტებთან და ცხოვრების მაღალ დონესთან, რაც ჯერჯერობით, საქართველოსთვის შორეული პერსპექტივაა.

სკეპტიციზმს უკრაინაში ზრდის ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, სადაც დასავლეთი არაეფექტური აღმოჩნდა, შეეჩერებინა უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი.

„გაერო, ევროკავშირი და ნატოც მარტო სიტყვებით შემოიფარგლება. რეალურად ვერაფერს ვერ ვხედავთ. სუპერსახელმწიფოები ერთმანეთში დაობენ და პატარა სახელმწიფოები ზარალდებიან. ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი ინტერესი. რაც უკრაინაში ხდება დღეს, რუსეთი უკვე ყველაფერს აკონტროლებს. უკრაინა დაზარალდება. ის, რაც იყო 2008 წელს ისევ საქართველო დაზარალდა“, – ამბობს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

მიუხედავად სკეპტიციზმისა, რესპონდენტები თანხმდებიან, რომ თუ მოხდება ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია, ეს ქვეყნისთვის ერთმნიშვნელოვნად დადებითი იქნება. ნატო და ევროკავშირი, რუსეთისგან მომდინარე საფრთხის ფონზე, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის გარანტიაა. „არ მჯერა რომ მალე შევალთ ნატოში, მაგრამ თუ ვიქნებით ნატოს წევრი, ეს უკვე უსაფრთხოების გარანტიაა,“ – აღნიშნავს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. მეორე მნიშვნელოვანი შედეგი, რაც რესპონდენტების აზრით, ევროკავშირთან ინტეგრაცია რეგიონს და ზოგადად ქვეყანას მოუტანს, არის სოფლის მეურნეობის განვითარება, ვინაიდან ევროპულ ქვეყნებში ამ დარგის განვითარების კარგი პრაქტიკა არსებობს. თუმცა აუცილებელია მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, რომ მოსახლეობამ შეძლოს იმ პრივილეგიებით სარგებლობა, რასაც ქვეყანას ევროკავშირთან დაახლოებას სთავაზობს. ინფორმაციის გავრცელებაზე კი პასუხისმგებელი ხელისუფლება, პირველ რიგში კი, ადგილობრივი თვითმართველობაა, რომელიც, რესპონდენტთა თქმით, ამ მიმართულებით არცთუ ისე ეფექტურად მუშაობს.

„როცა ინფორმაცია იქნება პირობების შესახებ, პროდუქციის ხარისხის, კრიტერიუმების შესა-



ხებ, მაშინ იქნება ეფექტური. ვისაც არ ექნება ინფორმაცია, იმისთვის არაფერი შეიცვლება,“ – აღნიშნავს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ევროპასთან დაახლოება რესპონდენტთა აზრით, ასევე ხელს შეუწყობს განათლების დონის ამაღლებასა და უკეთესი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას, ქვეყანაში დემოკრატიის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განმტკიცებას.

„რაც შეეხება ევროპას, დადებითი ის არის, რომ ჩვენ მივიღებთ კარგ განათლებას, ჩვენი ბავშვების მსოფლმხედველობა უკეთესი იქნება თუ ევროპაში შევალთ“; „კი ვცდილობთ იქ წასვლას, მაგრამ არ ვართ მზად. რა არის ევროინტეგრაცია. ევროკავშირი ეს არის სტანდარტები. ყველა ურთიერთობაში, მაგრამ მოსახლეობა არ არის მზად.“

აღნიშნული ციტატები კარგად ასახავს გამოკითხული რესპონდენტების დამოკიდებულებას ევროკავშირისადმი და განწყობას საქართველოს ევროკავშირში განეწვევების პერსპექტივისადმი.

აღსანიშნავია, რომ ევროპის შესახებ ქართული საზოგადოების ნაწილში გავრცელებული ნეგატიური სტერეოტიპები, რესპონდენტთა თქმით, ქვემო ქართლში ნაკლებად შეინიშნება და მხოლოდ მცირე ჯგუფებში გვხვდება. აღნიშნული ნეგატიური სტერეოტიპები ძირითადად ევროპაში ცხოვრების თავისუფალ წესსა და ერთსქესიანთა ქორწინებას უკავშირდება. თავად გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ევროპას ეროვნული იდენტობისთვის, კულტურისა და რელიგიისთვის საფრთხედ არ განიხილავს. იკვეთება ოთხი ძირითადი ფაქტორი, რითაც რესპონდენტები ამ დამოკიდებულებას ხსნიან:

1. საკუთარი ისტორიული გამოცდილება. საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ, მიუხედავად ამისა, მათ შეინარჩუნეს ენა, კულტურა და რელიგია. შესაბამისად, შემდგომი ინტეგრაციული პროექტი არ აღიქმება საფრთხედ კულტურისა და იდენტობისთვის;

2. თურქეთის მაგალითი. თურქეთი, რომელიც აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის ეთნიკურად ახლოს მდგომ ქვეყანას წარმოადგენს, რესპონდენტთა თქმით, ევროპული სახელმწიფოა. იგი არის ნატოს წევრი და მიისწრაფვის ევროკავშირისკენ. ამავე დროს, ქვეყანამ შეინარჩუნა თავისი კულტურა და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა;

3. ეთნიკურად თურქული მოსახლეობა გერმანიაში, რომლებიც ინარჩუნებენ თავიანთ იდენტობასა და კულტურას;

4. რესპონდენტები აღნიშნავენ, რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას, განსაკუთრებით სოფლებში, არ გააჩნია ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ. შესაბამისად, არ მიმდინარეობს დისკუსია ევროკავშირის შესახებ არც დადებით, არც უარყოფით კონტექსტში.

ევროპის შესახებ ნეგატიური წარმოდგენების გავრცელებას რესპონდენტები პროვოკაციად და „მესამე ძალის“, კერძოდ რუსეთის, მიზანმიმართულ ქმედებად აფასებენ. მეორე მიზეზი, რაც ხელს უწყობს ევროპის შესახებ ნეგატიური წარმოდგენების შექმნას ზოგადად განათლების პრობლემაა.

„რომ უყურო ევროპაში როგორი ბიბლიოთეკებია... ადამიანს, რომელსაც დაბალი ცოდნა აქვს ამას ვერ დაინახავს. მის გონებაში ეს არ დარჩება, ეს განათლების პრობლემაა და ის არ ეძებს ცოდნას, მეცნიერებას, არამედ თვალში მხოლოდ ხვდება ნეგატიური,“ – აცხადებს მარნეულის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ნატოს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტს, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა განიხილავს. თუმცა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ნატოს ბაზების ქვეყანაში განთავსებასთან დაკავშირებით, რადგან რესპონდენტთა ნაწილი თვლის, რომ ბაზების ქვეყანაში განთავსება გარკვეულ რისკებს უკავშირდება.

„ნატო გვიცავს, მაგრამ ნატოს ბაზები რომ იყოს, უფრო საშიშია. რუსები, რამე რომ იყოს, აქ გვესვრიან. ბაზების გარეშე რომ ვიყოთ წევრი, უკეთესია. თურქეთი ახლოსაა და იქ არის ბაზა. ის ნებისმიერ დროს დაგვეხმარება, მოძმე სახელმწიფოა. საქართველო პატარაა, სადაც არ უნდა ისროლონ დიდი ზარალი იქნება და რესურსები არ გვაქვს, რომ მერე ავაშენოთ,“ – ამბობს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი.

რუსეთი

სამცხე-ჯავახეთში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესით დაინტერესება მაღალია. გამოკითხული რესპონდენტები ხელისუფლების რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მცდელობას დადებითად აფასებენ შემდეგი ფაქტორების გამო:

1. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციით დაინტერესება სამუშაო ადგილებს უკავშირდება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის რუსეთში სამუშაოდ, ძირითადად სამშენებლო ფირმებში. ესენი სეზონური სამუშაოებია – მიდიან მაისში და ბრუნდებიან ოქტომბერში. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, რუსეთში წასვლა ყოველ წელს სულ უფრო საშიში ხდება და ეს დაკავშირებულია რუსული ნაციონალიზმის ზრდასა და ეთნიკური კავკასიელების მიმართ აგრესიასთან. მაგრამ, ვინაიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ და რეგიონში დასაქმების მხრივ ძალიან ცუდი სიტუაციაა, შრომითი მიგრაცია რუსეთში სტაბილურად მაღალია. „სამწუხაროდ, საქართველო არ არის ეკონომიკურად იმდენად განვითარებული, რომ ხალხი არ გავიდეს საზღვარგარეთ სამუშაოდ,“ აღნიშნავს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი;

2. რუსეთი არის მეზობელი სახელმწიფო. ქვეყნისთვის კი მნიშვნელოვანია ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს;

3. ტერიტორიული პრობლემების მოგვარებისთვის საჭიროა რუსეთთან დიალოგი. „რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს წინა პირობების გარეშე. მხოლოდ ასე შეიძლება ტერიტორიული პრობლემების მოგვარება. თუ თავიდანვე დავსვამთ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს, რა ურთიერთობების დალაგებაზე იქნება საუბარი? საქართველო ისე უნდა განვითარდეს, რომ ამ ტერიტორიებს თვითონ უნდოდეთ ჩვენთან დაბრუნება“, – აღნიშნავს პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ოფისის წარმომადგენელი.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესის შედეგია ის, რომ ახლა ხალხს რუსეთში წასვლა და შემდეგ, სამშობლოში დაბრუნება უფრო თავისუფლად შეუძლია, ვიდრე ადრე.

„ჩვენი რეგიონი ყოველთვის ახლოს იყო რუსეთთან, ბევრი გადის სამუშაოდ. წინა ხელისუფლების დროს იყო შეზღუდვა და ვინც მიდიოდა, უკან აღარ ბრუნდებოდა. ახლა უფრო ადვილია, ხალხი მიდის რუსეთში და ფულსაც აგზავნიან ოჯახებში. თვითონ ეს ადამიანიც ბრუნდება,“ – აღნიშნავს საკრებულოს წევრი.

რესპონდენტების აზრით, საქართველოსთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ევროპასთან ინტეგრაცია, ისე რუსეთთან ურთიერთობების დალაგება. ევროპული ფასეულობები – კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და დემოკრატია, უფრო მისაღებია ქვეყნისთვის და ისინი საქართველოში უნდა დამკვიდრდეს – თვლიან რესპონდენტები. თუმცა სოციალური მდგომარეობა სხვაგვარია და მოსახლეობა სამუშაოდ ირჩევს რუსეთს. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ამბობს:

„2009 წელს ჩავატარე კვლევა რუსეთიდან ჯავახეთში საბანკო გადმორიცხვების შესახებ. მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში „ტაო პროვატ ბანკში“ რუსეთიდან 2 მილიონი დოლარი გადმოირიცხა. მაგრამ ეს სეზონური სამუშაოა.“<sup>1</sup>

რესპონდენტები ერთხმად უარყოფენ თბილისში ბოლო პერიოდში გავრცელებულ ხმებს საქართველოს ეთნიკური უმცირესობებისთვის რუსული პასპორტების დარიგების შესახებ. მოსაზრება რეგიონში შესაძლო სეპარატიზმის თაობაზე მათ აღშფოთებას და წყენას იწვევს. „როდის იყო რუსეთი თავის პასპორტებს ასე არიგებდა, ეს ძალიან რთული პროცედურაა. ვიზის აღებაც ძალიან რთულია. შესაძლოა ვინმე სოფლის მცხოვრებს, ვინც დადის რუსეთში სამუშაოდ, სურს რუსული პასპორტი ჰქონდეს, მაგრამ ამას მხოლოდ სოციალური ხასიათი აქვს და არანაირი პოლიტიკური ქვეტექსტი,“ – ამბობს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი.

<sup>1</sup> ეს არის რესპონდენტის ინფორმაცია და მკვლევრების მიერ ვერ მოხერხდა ამ ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება.

რესპონდენტები გამორიცხავენ ყირიმის სცენარის საქართველოში განმეორების შესაძლებლობას და აღნიშნავენ, რომ რეგიონის მოსახლეობა, სეპარატისტული განწყობების ქონის შემთხვევაში გამოიყენებდა ახალქალაქში 2007 წლამდე რუსული ბაზების არსებობას ან 2008 წლის ომს და შეეცდებოდა სიტუაციის არევას. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჯავახეთი სომხეთს შეუერთდება, ეს გამოიწვევს გზების ჩაკეტვას და სომხეთი აბსოლუტურ ბლოკადაში მოექცევა. რეგიონში ნებისმიერი არეულობა მხოლოდ მესამე ძალის პროვოცირებული შეიძლება იყოს. თუმცა ამის ალბათობაც მცირეა, ვინაიდან საქართველოში უკვე არის ორი ტერიტორიული კონფლიქტი და კიდევ ერთი ტერიტორიული კონფლიქტის პროვოცირება რუსეთის მხრიდან ნაკლებსავარაუდოა, – მიიჩნევენ რესპონდენტები.

„მე ყოველთვის ვამბობ. 2008 წელს იყო ომი. ვინმეს რომ სურვილი ჰქონოდა, გამოეყენებინა ეს მომენტი, გამოიყენებდა. მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა. პირიქით, აქ სიმშვიდე იყო და ქართულ ეკლესიასთან ერთად ჩვენს დევნილებს ვეხმარებოდით,“ – ამბობს ადგილობრივი სასულიერო პირი.

რაც შეეხება კულტურულ სიახლოვეს, რესპონდენტები თვლიან, რომ ევროპული კულტურა უფრო „განვითარებულია“ და საქართველომ ბევრი რამ უნდა აიღოს მისგან. მაგრამ რუსული კულტურა უფრო ნაცნობი და ახლოს მდგომია. ამას რუსეთთან ორსაუკუნოვანი თანაცხოვრება, რუსული ენა და რუსეთში ნათესაური კავშირები განაპირობებენ.

„რამდენი წელია რუსეთთან ვცხოვრობთ, სხვა ფაქტიურად არ ვიცით. არ ვიცი რომელი ჯობია, რუსული თუ ევროპული. დღეს, რუსული კულტურა უფრო ახლოსაა, იმიტომ რომ მასთან დაკავშირებული ვართ,“ – ამბობს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ასევე იყო მოსაზრება, რომ ასიმილაციის შანსი რუსეთთან თანაცხოვრებით მეტია, ვიდრე ევროპასთან ინტეგრაციით. რუსეთს ასიმილაციის უფრო მეტი მექანიზმი გააჩნია, რაც უპირველეს ყოვლისა, სომხური ენის დავიწყებას უკავშირდება და ამას ისტორიული ფაქტებიც, საბჭოთა კავშირში ცხოვრების გამოცდილებაც ადასტურებს, – ამბობს რესპონდენტი.

## ევროკავშირი

ევროკავშირის შესახებ რეგიონის მოსახლეობას, მათ შორის, გამოკითხულ რესპონდენტებს, ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ. ინფორმაციის ნაკლებობას რესპონდენტები ყოველთვის ხაზს უსვამენ, როცა საუბარი ეხება ევროკავშირთან ინტეგრაციის კონკრეტულ სარგებელს რეგიონისთვის. ძირითადი ასოციაციები ევროკავშირის შესახებ შემდეგია: ევროკავშირი არის ცივილიზაცია, განათლება, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა და ცხოვრების მაღალი დონე, თავისუფლება. აქედან გამომდინარე, ევროკავშირთან დაახლოება, ქვეყნისთვის სასარგებლოა, თუმცა კონკრეტულად რას მოუტანს ქვეყანას, ბუნდოვანია. „შესაძლოა იყოს დადებითი და ამას ვიგრძნობთ, თუმცა ევროკავშირში არის საბერძნეთი და ვხედავთ, რა მდგომარეობაშიც არის,“ – აღნიშნავენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ევროკავშირში განევრიანება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. შესაძლოა რეგიონში ჩაიდოს ინვესტიციები და გაიხსნას ახალი ფაბრიკები და ქარხნები. საზღვრების გახსნის შემთხვევაში, რეგიონის მოსახლეობა ისევე შეძლებს ევროპაში წასვლას, როგორც დღეს რუსეთში დადიან. გარდა ამისა, ევროინტეგრაციას შესაძლოა მოყვეს ტურიზმის განვითარება.

რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებები დაცულია ევროპაში.

„საქართველოს გზა არის ევროპაში, იმიტომ რომ მრავალეროვანი საქართველო სხვაგვარად ვერ გადარჩება. თუ ევროკავშირში იქნება, უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხი დარეგულირდება. ჩვენ დიდი ხანია ვითხოვთ ფედერაციულ მოწყობას, პრინციპში, დე-იურედ არის კიდევ ფედერაცია, მაგრამ არანაირ სომხეთთან შეერთებაზე საუბარი არ იქნება,“ – ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

რესპონდენტთა ნაწილში შეინიშნება სკეპტიციზმი ევროკავშირში განწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. რესპონდენტები თვლიან, რომ ევროკავშირში შესასვლელად საჭიროა ქვეყანა კარგად მოემზადოს, გაგრძელდეს და დასრულდეს ის დემოკრატიული რეფორმები, რაც დაწყებულია. ნაწილი აღნიშნავს, რომ განწევრიანების შემთხვევაშიც, რთული იქნება ევროპაში წასვლა, ვინაიდან მოსახლეობამ არ იცის ენა და არ ჰყავთ ნათესავები ევროპაში. მოსახლეობაში ევროკავშირის მიმართ ნდობის ხარისხმა იკლო უკრაინაში განვითარებული მოვლენების შედეგად.

„ეთვლი, რომ ევროკავშირის რეიტინგი დაეცა და ეს უკრაინის მოვლენებს უკავშირდება. მოსახლეობა ამბობს: 20 წელია საბჭოთა კავშირის გარეშე ვცხოვრობთ და რა მოგვცა ევროკავშირმა ინსტიტუციონალური განვითარების გარდა? ამბობენ, ჯობია ისევ იქ ვიყოთ, სადაც სამუშაოა. ევროკავშირის ეკონომიკური სარგებლის შესახებ ჩვენ არ ვიცით. ხალხი ამას ვერ გრძნობს,“ – არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ნატოსგან განსხვავებით, რომელიც ქვეყნისთვის და განსაკუთრებით რეგიონისთვის, საფრთხედ აღიქმება (დანვრილებით იხ. ქვევით), ევროკავშირი ამ საფრთხეების მატარებელი არ არის, ვინაიდან ევროინტეგრაცია არ გულისხმობს ქვეყანაში სამხედრო ბაზების განთავსებას. ევროკავშირი არც ეროვნული კულტურისა და იდენტობისთვის აღიქმება საფრთხედ. ამას რესპონდენტები რამდენიმე არგუმენტით ხსნიან:

1. კავკასიური მენტალიტეტი მტკიცედ არის გამჯდარი მოსახლეობაში, ამიტომ ის რაც მიუღებელია, მაგალითად, ოჯახის სიმტკიცის შელახვა, ერთსქესიანთა ქორწინება, საქართველოში არ დამკვიდრდება;

2. სომხური დიასპორა ევროპასა და ამერიკაში ინარჩუნებს თავის კულტურას, ენას და ტრადიციებს;

3. ევროკავშირი ბევრ ქვეყანას აერთიანებს და ყველამ შეინარჩუნა თავისი იდენტობა.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს არჩევანი არ უნდა იყოს ცალმხრივი და ქვეყანამ ორივე მიმართულებით უნდა იმუშაოს, უნდა ეცადოს, როგორც რუსეთთან, ისე ევროკავშირთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას და არ უნდა მოექცეს დიდი ქვეყნების გავლენის ქვეშ. „ორივესგან უნდა ავიღოთ კარგი. რა თქმა უნდა, ორასწლიანმა თანაცხოვრებამ თავისი მოიტანა და დაგვაახლოვა რუსეთთან, ერთ ფილმებზე გავიზარდეთ... მაგრამ ევროპასთანაც ახლოს უნდა ვიყოთ. მათ დიდი კულტურა აქვთ,“ – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

## ნატო / თურქეთი

საქართველოს ნატოსკენ მისწრაფებას რესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებენ და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განწევრიანების პერსპექტივას შიშით უყურებენ. ამის ძირითადი მიზეზი თურქეთია, რომელიც არის ორგანიზაციის წევრი. თუ საქართველო იქნება ნატოს წევრი, ამას შესაძლოა თურქეთის სამხედრო ძალების საქართველოში განთავსება მოჰყვეს, – ფიქრობენ რესპონდენტები და აღნიშნავენ, რომ თურქეთის მხრიდან ეთნიკურად სომხებზე თავდასხმის შემთხვევაში მათ ვერავინ დაიცავთ. თურქეთის მიერ სომხების გენოციდის აღიარებისა და ბოდიშის მოხდის გარეშე, რესპონდენტებს რთულად წარმოუდგენიათ თურქეთთან რაიმე ტიპის თანამშრომლობა. ამ შიშს ამყარებს ასევე კესაბში (სირია) ბოლო დროს განვითარებული მოვლენები.<sup>1</sup>

„მე ვერ ვხედავ დღეს რუსეთთან დაკავშირებულ რისკებს, მაგრამ როცა ჩვენ შევალთ ნატოში, გვეშინია, რომ აქ თურქული ჯარები იქნებიან“; „თუ ვიქნებით ნატოში, ეს ნიშნავს რომ მე დამიცავს იმათი შვილიშვილები, ვინც კლავდა ჩემს წინაპრებს. ჩემთვის ეს მიუღებელია,“ – აღნიშნავენ რესპონდენტები.

რესპონდენტებში შეინიშნება სკეპტიციზმი ნატოს მიმართ, რაც განპირობებულია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რესპონდენტთა აზრით, ნატოს უმოქმედობით. „ნატო, როგორც სამხედრო

<sup>1</sup> 2012 წლის 21 მარტს, სირიის სომხურ ქალაქს – კესაბს ისლამისტები დაესხნენ. ერევნის მტკიცებით, შეტევა თურქეთის დახმარებით განხორციელდა.



ბლოკი არ გვჭირდება. სად იყვნენ 2008 წელს? ეს ორგანიზაცია არ არის უსაფრთხოების გარანტი,“ – აღნიშნავს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

რესპონდენტები თურქეთს არა მხოლოდ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის საფრთხედ აღიქვამენ. ამას ისტორიული გამოცდილებით ხსნიან და აჭარაში პოტენციურ საფრთხეზე მიუთითებენ. ის ფაქტი, რომ დღეს თურქეთი და აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებია, ხელისუფლებას რუსეთთან წინააღმდეგობის მხარდაჭერისთვის სჭირდება, – თვლიან რესპონდენტები და ქვეყნისთვის უკეთეს ალტერნატივად სამხედრო ნეიტრალიტეტს მიიჩნევენ. ნეიტრალიტეტის და დამოუკიდებლობის მაგალითებად იყო ნახსენები შვეიცარია და აზერბაიჯანი.

„სამხედრო ალიანსები ყოველთვის რისკის მატარებელია. ჩვენ არ გვყავს პრინციპული მტრები, უმჯობესია არც რუსული ბაზა იყოს და არც ნატოსი. როგორც შვეიცარია, ნეიტრალურები უნდა ვიყოთ,“ – აცხადებს პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ოფისის წარმომადგენელი.

თურქეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების კიდევ ერთი განმარტებელი ფაქტორი უკავშირდება ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობას. რესპონდენტების აზრით, ეს არის პოლიტიკური პროექტი და არანაირი ეკონომიკური სარგებელი ამ პროექტს საქართველოს ეკონომიკისთვის არ მოაქვს. რეგიონში ასეთი მსხვილი პროექტის დაწყებას არ მოჰყვლია დამატებით სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ეს ფაქტორი, რეგიონში არსებული მწვავე უმუშევრობის ფონზე, რესპონდენტების განსაკუთრებული აღშფოთების საგანს წარმოადგენს.

„ეს არის პოლიტიკურად ანგაჟირებული პროექტი. ეს არც საქართველოს, არც სომხეთსა და აზერბაიჯანს ეკონომიკურ სარგებელს არ მოუტანს... და ამ მშენებლობაზე, სადაც 6 ათასზე მეტი სამუშაო ადგილია, არც ერთი ადგილობრივი, მით უმეტეს, სომეხი არ არის დასაქმებული,“ – ამბობს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

რესპონდენტების აზრით, თურქულ კომპანიას, რომელიც რკინიგზას აშენებს, არ სურს ან არ აქვს უფლება, დაასაქმოს ეთნიკურად სომეხები. იმ ერთეულ შემთხვევებშიც, როცა რკინიგზის მშენებლობაში დასაქმებულია რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი, მას არ უფორმებენ კონტრაქტს. ასევე აღნიშნავენ, რომ მშენებლობაზე არც ეთნიკური ქართველები არიან დასაქმებული. საქართველოს ხელისუფლება კი ამ ყველაფერზე თვალებს ხუჭავს, – ამბობს რესპონდენტი. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი დასაქმების პრობლემას კადრების არარსებობით ხსნის.

„უნდა იყო სპეციალისტი, სამსახურში რომ აგიყვანონ. თუ ახლა კარგ სპეციალისტებს არ მოვაშადადებთ, როცა სადგური გაიხსნება, ვერც მაშინ დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, ანუ რეგიონში არის კადრების პრობლემა,“ – აცხადებს გამგეობის თანამშრომელი.

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში პრობლემების ძირითადი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა. ქვეყანაში უმუშევრობის ფონზე მაღალია შრომითი მიგრაცია რეგიონებიდან. ეს ტენდენცია განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში იგრძნობა. ვინაიდან რეგიონები ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული, მათთვის დამახასიათებელია სპეციფიკური პრობლემები, როგორებიცაა: ინფორმაციის ნაკლებობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და სახელმწიფო ენის არცოდნა. სახელმწიფო პროგრამებს, რაც ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლას ისახავს მიზნად, მცირე ეფექტი აქვთ და ძირითადად რაიონულ ცენტრებში იგრძნობა. სოფლებში კი ვითარება დიდად არ შეცვლილა. ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა არაეფექტურია. ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული ღონისძიებები და აქტივობები ამ მიმართულებით მცირეა და რეგიონის მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებაზე ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულებას, ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა აქაც აშკარაა. რესპონდენტები საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას ხაზს უსვამენ, რომ რეგიონის მოსახლეობისთვის (ზოგ შემთხვევაში მათთვისაც) ბევრი არაფერია ცნობილი ევროკავშირისა და ნატოს შესახებ და ამ მხრივ მოსახლეობაში სრული ინფორმაციული ვაკუუმი. ზოგადად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მისწრაფება დადებითად ფასდება და იგი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და თავისუფლების გარანტიად განიხილება. თუმცა, მეორე მხრივ, შეინიშნება სკეპტიციზმი განევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. რესპონდენტები თვლიან, რომ ქვეყანა განვითარების დონით არ არის მზად ევროკავშირში გასაწევრიანებლად. გარდა ამისა, რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ევროინტეგრაციის გზაზე.

ნიშანდობლივია, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ევროპას არ აღიქვამს საფრთხედ ეროვნული იდენტობისთვის, კულტურისა და რელიგიისთვის. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ეს განწყობები ადგილობრივი მოსახლეობის ძალიან მცირე ჯგუფებში შეინიშნება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის, განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას ევროკავშირის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაცია აქვს. შესაბამისად, ევროინტეგრაცია არ არის ადგილობრივ მოსახლეობაში დისკუსიის საგანი. ამიტომ მნიშვნელოვანია სწორი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და წარმოება, რათა არ მოხდეს დამახინჯებული და არასწორი ინფორმაციის გავრცელება ევროკავშირის შესახებ.

გამოკითხული რესპონდენტები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში განსხვავებულად აღიქვამენ ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს. განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ მარნეულსა და ახალქალაქში გამოკითხულ რესპონდენტებს ნატოს მიმართ. რესპონდენტები მარნეულიდან, ევროკავშირსა და ნატოს ერთ კონტექსტში განიხილავენ და აღნიშნულ ორგანიზაციებს ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიად მიიჩნევენ. მაშინ როცა, ახალქალაქში გამოკითხული რესპონდენტები ცალსახად უარყოფითად აფასებენ საქართველოს ნატოში განწევრიანების პერსპექტივას და თვლიან, რომ ეს ქვეყნისთვის სახიფათოა. აღნიშნული შიში უკავშირდება თურქეთის ფაქტორს. საქართველოს ნატოში განწევრიანებისა და თურქეთის ბაზების საქართველოში შესაძლო განთავსება (რესპონდენტები თვლიან, რომ ნატოში ინტეგრაციას თურქული ბაზების საქართველოში განთავსება მოყვება) ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისთვის საფრთხედ აღიქმება.

რუსეთისა და მისი პოლიტიკის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა გაცილებით მაღალია. ქვემო ქართლში გამოკითხული მოსახლეობისთვის რუსეთი, უპირველეს ყოვლისა, აღიქმება საფრთხედ ქვეყნის სუვერენიტეტისა და თავისუფლებისათვის. რესპონდენტები სამცხე-ჯავახ-

ეთიდან ქვეყნისთვის მთავარ საგარეო გამოწვევად თურქეთს მიიჩნევენ და აჭარაში პოტენციურ საფრთხეზე მიუთითებენ. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობა ცალსახად დადებითად ფასდება რუსული ბაზრისა და რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, რუსეთი არის ძლიერი მეზობელი სახელმწიფო და ამის შეცვლა შეუძლებელია; აუცილებელია ყველა მეზობელთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება, – აღნიშნავენ რესპონდენტები ორივე რეგიონიდან. ამიტომ, მულტი-ვექტორული საგარეო პოლიტიკა, ერთი მხრივ, ევროინტეგრაცია, მეორე მხრივ კი, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, ქვეყნისთვის ოპტიმალურ მიდგომად მიიჩნევა.

## დანართი: გამოკითხული რესკონდენტები

### ქვემო ქართლი

1. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონი;
2. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლობა ქვემო ქართლში;
3. საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესი;
4. მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი;
5. რელიგიური სკოლა – „აჰლი-ბეით“;
6. არასამთავრობო ორგანიზაცია „მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი“;
7. არასამთავრობო ორგანიზაცია „მტრედი“;
8. აზერბაიჯანული ჟურნალი „აპა“;
9. პარტიის „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ მარნეულის ოფისი;
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
11. მე-3 საჯარო სკოლის მასწავლებელი;
12. პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ მარნეულის ოფისი;
13. პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მარნეულის ოფისი;
14. კამუსლოს ტერიტორიული ერთეულის პროფკავშირები;
15. არასამთავრობო ორგანიზაცია „აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრი“.

### სამცხე-ჯავახეთი

1. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალქალაქის ბიზნეს ცენტრი“;
2. პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახალქალაქის ოფისი;
3. არასამთავრობო ორგანიზაცია „კანონიერება და სამართლიანობა“;
4. ტელეკომპანია ATB12;
5. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
6. ახალქალაქის გამგეობა;
7. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანსაღი საზოგადოება ჯავახეთში“;
8. ნინოწმინდის რადიო „ნორ“;
9. კოალიცია „ქართული ოცნება“ ახალქალაქის ოფისი;
10. არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის ქალები მშვიდობიანი საქართველოსთვის“;
11. არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალქალაქის ახალგაზრდული ცენტრი“;
12. ადგილობრივი ფერმერი;
13. არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაცია – მომავლის კორპუსი“;
14. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
15. სამცხე-ჯავახეთის სომხური არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირი.



**ANA DVALI  
EDITA BADASYAN**

**PROBLEMS OF KVEMO KARTLI AND SAMTSKHE-  
JAVAKHETI AND FOREIGN POLICY PREFERENCES  
OF THE LOCAL POPULATIONS**

**Research Report**

Editors: LEVAN KAKHISHVILI  
TATO KHUNDADZE

**The content of this publication do not necessarily reflect the opinion of the British government.  
The content of the publication reflect the authors' personal opinions.**

## FOREWORD

With a view to the existing conflict situation between Georgia and Russia since 2011, “The Centre for Cultural Relations – Caucasian House” began to actively work towards peace-building between the Georgian and Russian societies. This process unites several components, including the young Georgian and Russian analysts’ research, working visits to Georgia and the Russian Federation, meetings with representatives of both countries government agencies and experts, a common webpage and more.

In 2013, in the research framework, policy documents were prepared, articles were written and a joint analytical bulletin was created. (Materials can be found at: [www.regional-dialogue.com](http://www.regional-dialogue.com)).

This paper discusses the basic problems of the regions populated by ethnic minorities, and the attitudes of the local population towards Georgia’s foreign policy. The research was conducted in two cities, Marneuli and Akhalkalaki. Interviewed respondents are representatives of local non-governmental organizations, the business sector, the media, religious institutions, political parties and local government. The study revealed the main factors that affect the formation of the foreign policy priorities of the respondents.

